განმარტებითი ბარათი

„გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ“ შეთანხმების პროექტის თაობაზე

„გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ“ შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ქ. გორში 300 ბლოკი სახლის აშენებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი სახსრებით გამოყოფს პერსონალს და მასალას და შესაბამის შემთხვევაში ფინანსურ დახმარებასაც.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციას ახალ გარემოში. მშენებლობის დასრულების შემდეგ სახლები საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას. შესახლებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობა საცხოვრებელ ბინებს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადასცემს საომარი ქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს.

აღნიშნულ შეთანხმებაზე ვრცელდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის 11 მაისს გაფორმებული შეთანხმების დებულებები.

შეთანხმება ძალაში შედის ნოტების გაცვლის გზით, საქართველოს მხარის მიერ გერმანიის მხარისთვის საპასუხო ნოტის თარიღით.